საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1535 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ბიომედიკალს გეოსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონება, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 500 000 (ხუთასი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს სს „ბიომედიკალს გეოს“ (ს/კ: 402017651).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;

გ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში,

ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელი საწარმო(ები)ს შექმნა, ფუნქციონირების დაწყება და ეზოს კეთილმოწყობა, (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) გადაცემული უძრავი ქონების ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, გამწვანებას, გარე განათებას);

დ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

დ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, არანაკლებ 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ.გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ.დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში, არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოთავისუფლების სანაცვლოდ, ამ ქონების ფაქტობრივი მოსარგებლე პირებისათვის (გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა) საკომპენსაციო თანხის გადახდა, 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარის

ოდენობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში;

ვ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწარმო(ებ)ში არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. სს „ბიომედიკალს გეო“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

№	ქონების ადგილმდებარეობა	საკადასტრო კოდი	ქონების დახასიათება
1	ქ. თბილისი, აკადემ ქალაქის ტერიტორია	01.19.15.001.074	5000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ნანგრევი)
2	ქ. თბილისი, აკადემ ქალაქის ტერიტორია	01.19.15.001.075	13159 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 -საერთო ფართით-5283.8 კვ.მ (მ/შ I სართული 1732.1 კვ.მ., II სართული ფართით 1732.1 კვ.მ., III სართული-ფართით 1732.1 კვ.მ., IV სართული ფართით 87.5 კვ.მ.), N2-საერთო ფართით 14.59 კვ.მ, N3-საერთო ფართით 63.92 კვ.მ
3	ქ. თბილისი, აკადემ ქალაქის ტერიტორია	01.19.15.001.067	807 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1, N2, N3, N4;
4	ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, კახეთის გზატკეცილზე	01.19.15.001.069	2802 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1-863.15 კვ.მ; N2-1036.2 კვ.მ;